





გლეხ-კაცობის გამარჯვება შემამულებზე  
—მსხვილი შემამულებების ადგილ-მამული  
გადავიდოდა გლეხ-კაცობის ხელში. ამი-  
ტომ ეხლანდელი გამარჯვება მათ სურთ  
ისე გამოიყენონ, რომ აგრარულ მოძ-  
რაობასაც დაუკარგონ თავისი საფუძველი  
და ადგილ-მამულიც შეიარაღონ. ამ მიზ-  
ნის სისრულეში მოსაყვანათ ისინი ადგილ-  
რებზე საგლეხო ბანკის მოქმედებას, სე-  
მენ 9 ნოემბრის კანონს სათემო მიწათ-  
მფლობელობის დარღვევის შესახებ და  
ხელს უწყობენ გლეხების მასიურ გადა-  
სახლებას. უკანასკნელ ხანებში განსა-  
კუთრებულ ყურადღებას აქცევენ ბიურო-  
კრატია, რომელსაც მოქმედების გეგმას  
უკანახებს შეერთებული თავდაზნაუ-  
რობა, განაბრია ქვეყნებში რუს გლეხე-  
ბის გადასახლება. დაარსდა განსაკუთ-  
რებული კომიტეტი ამჟღის მხარეში გა-  
დასახლების მოსაწყობებლათ, ინარჩუნ-  
ბა აუარებელი ფული, რომ მუდანი  
ველი გადაკეთონ საცხოვრებელ ადგი-  
ლებათ, ეძებენ შავი ზღვის პირათ მიწებს  
გლეხების დასახლებლათ და სხვ. ერთი  
სიტყვით, გადასახლება უნდა შეიქმნას აგ-  
რარული საკითხის გადასაჭრელ ერთ-  
ერთ მთავარ საშუალებად. რომ სწორეთ  
ეს მოსაზრება ამოქმედდეს რუსეთის მმარ-  
თველ წრეებს, ამის დასამტკიცებლათ  
საქმარისია მკითხველს მივუთითოთ მარ-  
კოვ მე-2-ს სიტყვაზე, რომელიც მან  
წარმოსთქვა სახელმწიფო დუმაში ამჟღის  
არჩინის გზაზე კამათის დროს. ღიბა, გა-  
დასახლებით შემამულებს სურთ თავი-  
დან მოიშორონ უქმეყოფილი გლეხკა-  
ცობა და ძველებურათ შეიარაღონ ხელ-  
ში ბატონობა და ადგილ-მამულია!

მარა უნდა ვსთქვათ, რომ მარტო ეს  
მოსაზრება არ ამოქმედდეს რეაქციის  
გმირებს. მათ უნდათ აგრარული საკით-  
ხიც გადაჭრან და თავებელ ინოროდ-  
ცებიც ალაგმონ ამ იოლი საშუალე-  
ბით. მათი სურვილია განაპირა ქვეყნე-  
ბის მცხოვრებელ დაუბრუნებლად შიდა  
გლეხურებიდან გადასახლებული რუსის  
გლეხობა. ამით აიხსნება სწორეთ ამ  
ბოლო დროს განსაკუთრებული ყურად-  
ღების მიპყრობა კავკასიისაკენ. კაცთ-  
ქონს რუსეთს და ცალკე სახელმწიფო  
დააარსოს. ამიტომ საჭიროა აქ დასახ-  
ლებული ერების ხელშეწყობა დაპყრო-  
ბა. მათთვის საკმარისი არ არის  
მოღვაწეობა ადგილობრივი ადმინი-  
სტრაციისა, რომელსაც იგი ძლი-  
ერ გულმოდგინეთ ეწევა. რეგრესიების  
გაძლიერება იმ ზომამდე, რომ ადგილო-  
ბრივ ერთა ფიზიკური არსებობაც კი სა-  
ეკვო გახდეს—ი იდეალი თავაშვებული  
შავარზმელებისა. ამისათვის შეიტანეს  
მათ შეკითხვა სახელმწიფო დუმაში კავ-  
კასიის შესახებ. თუმცა ჩვენი დებუტა-  
ტები მათ შესაფერათ შეხვდნენ, საკ-  
მათ ფარდა ახადეს ნამდვილ განზრახ-  
ვებს და მთელი ქვეყნის წინაშე იმეტე-  
ბით ხელში უარყვეს შეკითხვის ინიცი-  
ატორთა მიერ წამოყენებული ფანტან-  
სტიური ბრალდებები კავკასიის ხალხის  
წინააღმდეგ, მარა ვინ არ იცის, რომ ბი-  
უროკრატისათვის ფაქტებს და სინამდ-  
ვილეს კი არა, შავარზმელების სურვი-  
ლებს აქვს მნიშვნელობა და ძალა. და  
ჩვენც მოწამე ვხდებით რეგრესიების კი-  
დევე უფრო გაძლიერებისა, მარა, რო-  
გორც სჩანს, მარტო რეგრესიებით  
არ სურთ დაკმაყოფილდნენ. გაზე-  
თების ცნობებს თუ დავუჯერებთ მათ  
გადაწყვეტილი აქვს კავკასიაში ჩამოა-  
სახლონ ნახევარი მილიონი რუსის გლე-  
ხები. და რომ ეს ხმები სინამდვილეს  
მოკლებული არ არის, ამას აშკარათ ამ-  
ტკიცებს ბიუროკრ. მოქმედებაც. ალბათ,  
ამ გარემოებით აიხსნება უკანასკნელ ხა-  
ნებში რუსის გლეხების „პოლოცების“ მო-  
გზაურობა ამიერ-კავკასიის სხვადასხვა  
ადგილებში სამოსახლო ალაგების გამო-  
სანახავათ. ცხადია, ამ გლეხების კერძო  
ინიციატივა გადმოსახლების საქმეში სა-  
ვსებით ეთანხმება ზოგიერთების პოლიტიკ-  
ას, რისთვისაც იგი დაეხმარება მათ  
სხვადასხვა საშუალებებით.

ჩვენ არაფერი გვაქვს გადასახლების  
წინააღმდეგ, როცა იგი გამოწვეულია  
ეკონომიური საჭიროებით და მის დასა-  
კმაყოფილებლათ სხვა საშუალება არ მო-  
იპოვება, მარა როცა გადასახლება აწარ-  
მოებენ დაბალი ღირსების პოლიტიკუ-  
რი მიზნით, იმისათვის, რომ კიდევე უფ-  
როა დაზარალონ და შეაფრთხოვონ ისე-  
დაც დაზარალები და შეეფრთხოები

ადგილობრივი მკვიდრნი, გადარჩავენ და  
გააძლიერონ ნაციონალური შუღლი,  
გადაჰქონდნენ ერთმანეთს სხვადასხვა ერის  
მშრომელი მასის, ჩვენ ამის წინააღმდე-  
გი უნდა ვიყოთ. შიდა რუსეთიდან კავ-  
კასიაში გლეხების გადმოსახლებას სწო-  
რეთ ასეთი მიზანი აქვს. რომ კავკასია-  
ში თავისუფალი ადგილები არ არის,  
რომ ადგილობრივი მცხოვრებნი თვი-  
თონ უკიდურეს შევიწროვებას განი-  
ცდიან უმიწა-წყლობით—ეს ყველამ  
კარგად იცის, მარა მიუხედავად ამისა,  
თუ იგინი მაინც ერეკებიან რუსეთიდან  
ხალხს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ად-  
გილობრივ ხალხს გვერდში ამოუყენონ  
„რუსეთის სახელმწიფოებრივობის დამ-  
ცველი“ რუსის ხალხი. თუმცა მათ  
(გლეხებს) არც შინ აქვთ ნდობა მარა აქ,  
კავკასიაში, იმედი აქვთ გამოიყენონ  
ეროვნული განსხვავება და შეუგნებელი  
ხალხის გონებრივი სიბნელე თავისი  
მიზნის სისრულეში მოსაყვანათ. შავრა-  
ზმელებს რომ დაუჯეროთ, კავკასია ხომ  
ველური ხალხებითაა დასახლებული,  
რომ ადგილობრივი მკვიდრნი ყაზაღ-  
ბისა და მმარცვლებისაგან შესდებიან.  
და აი, ისინიც ეჩიჩინებიან უმიწა-წყლო  
რუსის გლეხებს, რომ მათი მოწოდება  
აქ მდგომარეობს კულტურის გავრცე-  
ლებისა და რუსეთის სახელმწიფოს  
ინტერესების დაცვაში, თუმცა იგივე  
რეაქციონერები პრესაში თუ საზოგადოე-  
ბაში, მუდამ რუსეთის გლეხების უკუ-  
ტურობასა და ბარბაროსობაზე გვამკვირ-  
ბის. მარა ეს დემაგოგია გინაპირა ქვეყნებში  
სტირდებათ იმისათვის, რომ რუსის გლეხ-  
კაცობა და მუშები მონაწილე გახდნენ  
თავიანთი შავარზმული მოღვაწეობისა.  
მათ კარგათ იციან, რომ ეროვნული  
მტრობის, უნდობლობის და შუღლის  
აბრმავება საუკეთესო საშუალებაა მა-  
თი ბატონობის გასამაგრებლად. იმის მა-  
გიერ, რომ ხალხმა იბრძოლოს პოლიტი-  
კური თავისუფლ. მოსაპოვებ. და თავისი  
ეკონომიური მდგომარ. გასაუმჯობესებ-  
ლათ—ისინი ერთმანეთს დაუწყებენ კამას-  
აბა, ამაზე უკეთესი რაღა იქნება რეაქციო-  
ნერ შოვინისტებისათვის! „ინოროდცე-  
ბის“ დეკლარაციები!

ამ გარემოებას ანგარიში უნდა გავ-  
წიოს. რასაკვირველია, ჩვენ გადამტე-  
ბულათ მიგვიჩნია ის ყვირილი კავკასი-  
ისა და კერძოთ საქართველოს დაღუპე-  
ზე, რომელიც ვითომ აუცილებლათ უნ-  
და მოყვდეს შავარზმელების ასეთ მოქმე-  
დებას.

ჩვენ არ ვართ ასეთი პესიმის-  
ტური შეხედულების ქართველი ხალხის  
მომავალზე და გვერდია, რომ ხელოვნო-  
რი საშუალებებით ჰისი გაქრობა შეუძ-  
ლებელია, მარა მიუხედავად ამისა ზემო  
აღნიშნული მოვლენა ანგარიშს გასაწევია  
და მის უყურადღებოთ დატოვებას შეუძ-  
ლია ბევრი ზარალი მოუტანოს ხალხის  
კლასიურ შეგნებას.

ჩვენი ხალხის წარსული მოძრაობა  
სწორეთ იმით არის შესანიშნავი, რომ  
მასში სრულებით არ იყო ნაციონალის-  
ტური მოტივები, რომ მას სარჩულათ  
ელო არა სხვა ერებისადმი შუღლი და  
მტრობა, არამედ—დიდი პოლიტიკური  
და სოციალური მიზნები. შავარზმე-  
ლების დღევანდელი მოქმედება კი შექმ-  
ნის ერთგვარ პირობებს ხალხში ნაციო-  
ნალისტური მიდრეკილების გასაფრთხი-  
ლებლათ. ჩვენი ქვეყნის ნაციონალისტები  
ეცდებიან გლეხკაცობის მთელი უბედუ-  
რების მიზეზათ გამოიყენონ მის გვერ-  
დით ჩამოსახლებული რუსის გლეხები:  
შეხედეთ, თქვენი სარჩო-საბადებელი  
ამათ ჩაიდეს ხელში, თქვენი სილატა-  
კისა და გაკირვების მიზეზი ეყენია, მა-  
გათ აქედან ვარკვა—არა უნდა იყოს  
ჩვენი მიზანი—ეტყვიან ისინი სოფლის  
ხალხს. და თუ წარმოვიდგენთ მეორე  
მხრით რუსი შოვინისტების ქადაგებას,  
ადვილი მისახვედრი იქნება, თუ რა უნ-  
და მოჰყვდეს გაბატონებული კლასების ამ  
ცდას. ნაციონალური ბრძოლის, ერთა  
შორის მტრობისა და შუღლის გაძლიე-  
რება—აი, რა უნდა მოყვდეს შედეგათ  
ასეთ გარემოებას. ამიტომ ჩვენ ამ თავი-  
დანვე უნდა ვიღონათ საშუალება ამ  
მოვლენის თავიდან ასაცილებლათ.

კითხვა იბადება: რა პრაქტიკული სა-  
შუალებების წამოყენება შეგვიძლია ჩვენ  
სხენებული პოლიტიკის წინააღმდეგ?

აგრარული მოძრაობის ლოზუნგი „ყო  
მსხვილ მიწათ-მფლობელთა ადგილ-მამუ-  
ლის კონფისკაცია, ე. ი. მისი უსასყიდ-

ლოთ გლეხების ხელში გადასვლა, მაგ-  
რამ ამ ხანათ ეს მოძრაობა დაპარცე-  
ბულია. ეს ლოზუნგი კი ჩვენ სოფლებ-  
ში ისე პოპულარული იყო, რომ ექვს  
გარეშეა, დღესაც სხვა ფიქრობს, რომ  
თუ შემამულის მიწას სხვა იყიდის, სულ  
ერთია—ხვალ მაინც მას დარჩება. რასა-  
კვირველია, როცა რეაქცია გივლის  
და განმათავისუფლებელი მოძრაობა ისევე  
გამოაცხლდება, მაშინ შესაძლებელი  
გახდება ამ მოვლენას სხვა საშუალებებით  
ებრძოლოთ, მარა დღეს-დღეობით ჩვენ  
უნდა ვუჩიოთ გლეხებს, თუ კი მათ  
ოღნავ ძალა შესწევთ, ყოველი დონე  
იზმარონ და შეიძინონ ფასით ის მამუ-  
ლები, რომელსა შემამულებიც სხვებზე  
ჰყდიან. ეს უნდა მოხდეს რაც შეიძლე-  
ბა გლეხებისათვის ხელსაყრელ პირობებ-  
ში. ექვი არ არის, შემამულებები ეცდუ-  
ბიან თავის სასარგებლოთ გამოიყენონ  
შექმნილი პირობები—მოსული ხალხის  
კონკურენცია ადგილობრივთან მის სა-  
შუალებებს ნიკცემ ფასები ასწიოს მიწა-  
ზე. ჩვენ ნაცლებათ ვართ შეპყრობილი  
იმ ილიუბიებით, თითქმის ჩვენი შემამუ-  
ლებები სამშობლოს სიყვარულისათვის  
უფრო იაფათ მიყიდის მამულს ქართველ  
გლეხს, ვინემ რუსეთიდან ჩამოსულ ხალხს.  
სამშობლოს სიყვარული და სხვა ასეთი  
ლაშაზი სიტყვები მხოლოდ მანამდე არ-  
სებობენ ჩვენი ბრწყინვალე წოდებისათ-  
ვის, სანამ საქმე მათგან რეაქტურ მსხვერპლს  
მოითხოვდეს. ამიტომ ერთად-ერთი ხსნა  
გლეხების შეგვიწირებაშია. მათ უნდა  
მოურიგდნენ შემამულებებს რაც შეიძლება  
გრძელი ვადა იქნას დანიშნული ფულების  
გასატუმარებლათ. თუ გლეხი მამულის შე-  
ძენის გამო დიდი ვალებით დაიჭურება და  
სოფლის მეფაზის ქსელში გაეპდება, ასეთი  
შეძენა რათ უნდა, მთელ სარგებელს ამ  
ოპერაციიდან მეგზხე წაიღებ და შეიძ-  
ლება ბოლოს ვალზე მიმუღივ კი  
წაართვას. ამიტომ მამულის გამოყადვის  
ერთი პირობათგანი უნდა იყოს გრძელი  
ვადა. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება  
ჩვეულებრივი გლეხის მეურნეობისათვის  
ცოტათ თუ ბევრათ სასარგებლო გამოდ-  
გის ის პრაქტიკით, საჭირო ჩვენი ხალხი  
გულზე ხელ-დაკრფილი არ შეხედეს ზე-  
მოთ აღნიშნულ მოვლენას და შეცვლილ  
პირობებში შეცვლილი საშუალებებით  
იმოქმედოს.

6. 6.

### სახელმწიფო დუმა

(სააგენტოს დებულებიდან.)

2 დეკემბერი

სხდომას თავმჯდომარეობს თავ. ვოლ-  
კონსკი, იხილვენ რამდენიმე წვრილმან  
კანონ-პროექტს: პეტერბურგის საინტენ-  
დანტო სამმართველოს აღიუტანტის და  
შტაბ-აფიცერის თანამდებობის დაარსე-  
ბის და სატუსალოების უფროსების და  
მათი თანაშემწეების ჯამაგირების მომა-  
ტების შესახებ. კენქის ყრით პირველი  
კანონ-პროექტის უარყოფილ იქნა. მეორე  
კანონ-პროექტის შესახებ ილაპარაკე უზ-  
ნეცოვმა. მან მოუწოდა გლეხებს უარ-  
ყონ ეს კანონ-პროექტი, რადგან იმ  
დროს, როდესაც მუშები და გლეხები  
გაპირვებაში სულის დაფავენ, მთავრო-  
ბას უნდა ჯამაგირები მოუმატოს სატუ-  
სალოების უფროსებს. ამაზე გადადებუ-  
ლი ფული საუკეთესო შეიღების მოსა-  
კლავათ იქნება გადაღებული. თავმჯდო-  
მარე მოუწოდებს კუნცეცოს წესიერე-  
ბისაკენ.

შემდეგ დუმა დებულობს პირობითი  
დასჯის, წინასწარ დატუსალების სასჯელ-  
ში ჩათვლის კანონ-პროექტს.

სხდომა სწყდება.

სხდომის განახლებისას თავმჯდომარის  
აოგეს იქნეს ხომიაკოვი. დუმა განაგ-  
რძობს მინისტრის განმარტების განხილ-  
ვას სატუსალოს მთავარ სამმართველოს  
უფროსის უკანონო მოქმედების შესახებ  
შეკითხვის გამო.

მაკლაკოვი ამბობს, რომ იუსტიციის  
მინისტრმა უბრალო შეკითხვა მთელ პო-  
ლიტიკურ ამბავთ გადაქცია. მინისტრის  
სიტყვა პურიშვეიჩმა მოიწონა. მეორე  
დუმის დროს მინისტრთა საბჭოს თავ-  
მჯდომარემ აღნიშნა, რომ კანონიერებასა  
და უკანონობას შორის არის განსხვავე-  
ბა. იუსტიციის მინისტრმა კი ეხლა  
სთქვა, რომ უკანონობასა და კანონიე-  
რებას განსხვავება არ ესაქიროება. მი-  
ნისტრის სიტყვით თითოეული გუბერ-  
ნატორი თავის გუბერნიის პატრონია და  
ვინც მას არ უნდა, გააძევებს. შემდეგ

ორატორი ეხება იუსტიციის მინისტრის  
ამხანაგის სიტყვებს პირველ დუმაში. თა-  
ვის სიტყვაში მან აღნიშნა, რომ თვით  
მინისტრმა გააუქმა სოციალისტების გან-  
კარგულება არ შეუშინა მოსამართლეები  
სატუსალოში კანტროლის მოსახდენათ.  
ნუ თუ პირველი დუმის წინაშე მინისტრმა  
სხვა ენით ილაპარაკა და მესამე დუმის-  
თვის თავის, ნამდვილი ენა შეინახა?  
დამცველებს სასამართლოს თავმჯდომა-  
რები აძლევენ ნებართვას შევიდნენ სა-  
ტუსალოებში, ხოლო, უკეთეს ვინმე უდი-  
რის გამოდგება, მას ამ ნებართვას ართ-  
მევენ. შემდეგ ორატორი ეხება მინის-  
ტრის განცხადებას, თითქო დამცველებს  
სატუსალოებში ყუმბარები შექონდნით და  
ეკითხება მინისტრს—იციის თუ არა მან,  
რას ამბობენ არა თუ ტუსალები, არა-  
მედ—სასამართლოს მოხელეები მასზე, მი-  
ნისტრზე. ორატორი აცხადებს, რომ  
ოფიციალური ტყულის თქმა შეუძლიათ  
მხოლოდ პოლიციის აგენტებს, მაგრამ  
როცა ასეთი ტყუილი გამოაქვთ დუმის  
ტრიბუნაზე, როცა ამას იუსტიციის მი-  
ნისტრი ლაპარაკობს, ეს სახელმწიფოე-  
რივი სკანდალია (მარცხით ტაშის ცე-  
მა—მარჯვნივ სტვენა) ორატორის აზრით  
იუსტიციის მინისტრს დაავიწყდა, რომ  
მინისტრები კი არ უკეთებს კანტროლს  
დუმას, არამედ—დუმას აქვს დავალებული  
კანტროლი გაუყუთოს მინისტრების მო-  
ქმედებას. ამგვარათ, მაკლაკოვის აზრით,  
მინისტრს უნდა მოეპოვებია ის, რაც  
ასე ცოტა დარჩა რუსეთში, ე. ი. მთავ-  
რობისადმი ნდობის და პატივისცემის  
უკანასკნელი ნაშთი. (მარცხით და ცენ-  
ტრში ხანგრძლივი ტაშისცემა, მარჯვნივ  
სტვენა).

პურიშვეიჩი მიმართავს მარცხით  
და ცენტრსკენ და ამბობს: როგორ  
ბედავთ თქვენ სიტყვით შეურაცხყოფა  
მიაცემთ იუსტიციის მინისტრს, თუ  
თქვენ შეურაცხყოფილათ არ სცანით  
თავი ათი დღის წინათ, როცა აი, ამ  
ტრიბუნიდან როდიგემა შეურაცყო  
რუსეთის მთელი ხალხი და მას ქუარდი  
და მაწაწალო უწოდა. რა ამბავია ეხლა?  
ჯერას აცვან იუსტიციის მინისტრი და  
იფრინი მიაკეთ მასზე, თუმცა მის მაგიერ  
ცარიელ ადგილს ხედავთ (ძლიერი ხმა-  
ურობა). ტყუილათ სთქვა ვეკილმა მაკ-  
ლაკოვმა, თითქო კანონიერების დრო  
წავიდა. კანონიერების კი არა, რევი-  
ლიუციის დრო წავიდა. იუსტიციის მი-  
ნისტრის სიტყვიდან ნათლათ სჩანს, რომ  
რუსეთში კანონიერება დამყარდა და მთავ-  
რობა მტკიცე საფუძველზე დგას. თქვენ  
ბრახი მოგდით, რომ თქვენ, ვიბორგე-  
ლებს და მთელ ამ მემარცხენე კომპა-  
ნიას, გასაქანს არ გაძლევდნენ. მაკლაკოვმა  
უსაყვედურა მინისტრს, რომ მან არ  
იცის, როგორ უყურებენ მას სასამართ-  
ლოს მოხელეები, მაგრამ მინისტრმა იცის,  
რომ ეს უწყება დანაგვიანებულია „ინო-  
როდცები“ და ამიტომ ის უმაღ-  
ლესი ფურთხის ღირსათ არ სთვლის  
მათ აზრს (ძლიერი ხმაურობა მარცხ-  
ნით, ცენტრში მოძრაობა, მარჯვ-  
ნით ტაშის ცემა). სასამართლოს დაწე-  
სებულებაში ბევრი ისეთი ხალხია, რომ  
მღების ადგილი სულ სხვაგან არის (მარ-  
ჯვნივ ტაშის ცემა). შემდეგ ორატორი  
ეხება ნაფიც ვეკილებს და მათ თანაშე-  
მწეებს და ამბობს, რომ თანაშემწეები  
სულ „უღიბები არიან“. მე—თავებს  
პურიშვეიჩი—და ჩვენ ფრაქციას მეტათ  
გვაძლევს აქ წარმომადგენელი, მკაცრი  
სიტყვები. მე დარწმუნებული ვარ, რომ  
დუმის უმრავლესობა არ აცდება ამ ორა-  
ტორებს, რომლებსაც დუმის ტრიბუნი-  
დან უნდათ დამტკიცონ არა თავიანთი  
ლიბერალიზმა, არამედ—„ხამობა“. (მარ-  
ცხნით და ცენტრში ძლიერი ხმაურობა)  
პურიშვეიჩი მიმართავს მარცხნივ და ამ-  
ბობს: კიდევ ვიმეორებ: „ხამობა“, „ხა-  
მობა“, და ჩამოღის ტრიბუნიდან.

თავმჯდ. დუმის წევრი პურიშვეიჩი!  
არა ერთი შენიშვნის შედეგად თქვენ ნე-  
ბას აძლევთ თავს შეურაცყოთ დუმა.

პურიშვეიჩი. დუმა კი არა, მისი ზო-  
გიერთი წევრები.

თავმჯდომარე. თქვენ კიდევ თქვენ-  
სას ამბობთ. რაც თქვენ სთქვით, იმას  
ჩემი ენა ვერ გაიმეორებს. ამიტომ წინა-  
დადებას ვაძლევ დუმას ხუთი სხდომიდან  
გააძევოს პურიშვეიჩი.

პურიშვეიჩი: ჩემი სიტყვები უკან  
არ მიმაქვს, მაგრამ ჯერ ისინი ცენტრს  
არ ეხება, სანამ იქიდან არავის სიტყვა  
არ წარმოუთქვამს. ხვალ, თუ იქიდანაც

ასეთი სიტყვა წარმოსთქვას, მე მათ შე-  
სახებაც ასეთ სიტყვებს ვაფიქრობებ.  
(ძლიერი ხმაურობა. ყვირილი: „გაუთრიე,  
დაიკარგე!“) კენქის ყრით პურიშვეიჩი  
გაძევებულ ქანა დუმიდან ნუთხლდება.

ტიმოშენი შეკითხვით ხედავს ნაფიც  
ვეკილთა რუსტიციის მინისტრისადმი კერ-  
ძო ანგარიშების გასწორებას. ხმაურობაში  
და სიცილში მისი ლაპარაკი აღარ ისმის.

შემდეგ ლაპარაკობენ ბაზინი, მერინ-  
დოვო, რუშკოვი, კოლენსკოვი. კე-  
ლაროვსკი აცხადებს, რომ ცირკულიარი  
კანონიერია და ამის შესახებ შეკითხვას  
არავითარი ადგილი არა აქვს.

გუჩკოვი თავის ვრცელ სიტყვაში აღნი-  
შნავს ამ ცირკულიარის უკანონობას და  
დასასრულ აცხადებს ცენტრის ფორმუ-  
ლას: „ესცანით რა, რომ პირველათ 1908  
წ. 18 იანვარს გამოცემული ცირკულიარი,  
პარლამარისისლის საპარლამარისის მუშლის  
დარღვევაა, რომლითაც უქმდება ციხის  
უფროსის განკარგულებით სასამართლოს  
თავმჯდომარეთა ბრძანება, მეორეთ—თუ  
არსებული კანონები არ არის დამაკმა-  
ყოფილებელი, იუსტიციის მინისტრს კა-  
ნონმდებლობითი გზით უნდა შეეტანა  
საჭირო ცვლილებები, და არ დაერღვია  
ცირკულიარებით არსებული კანონები,  
მესამეთ—მინისტრის სიტყვა, რომელიც  
მან წარმოსთქვა 25 ნოემბერს, არა თუ  
არ ამართლებს ამ უკანონობას, არამედ  
გვამცნობს მომავალ სხვა ამგვარ უკა-  
ნონობას, ესცნობთ რა იუსტიციის მინის-  
ტრის განმარტებას არა-დამაკმაყოფილებ-  
ლათ, გადავდივართ მორავ საქმეებზე“. (მარცხნით და ცენტრში ხანგრძლივი  
ტაშისცემა. მარჯვნივ სტვენა).

ჩხეიძე. ორატორს მოყავს მინისტრის  
სიტყვიდან ადგილები და ამბობს, რომ  
მის მიერ გამოთქმული აზრი სრუ-  
ლიად შეთანხმებულია მემარჯვენეე-  
ბის აზრთან. მიმართავს ცენტრს  
და ამბობს, რომ მისი აზრით ცენტრს  
თანახმა უნდა იყოს მინისტრის, რადგან  
ის ხალხი, რომელიც პ იენისის აქტს  
ტაშს უკრავს, არ შეიძლება არ ეთანხ-  
მებოდეს იუსტიციის მინისტრს. რადგან  
იუსტიციის მინისტრმა დიდებულ ბოროტ-  
მოქმედებაში, რომელსაც პ იენისის ქა-  
ნონს ეძახიან პირველი სკიპკის როლი  
ითამაშა.

ვოლოდომოვი. „დაიკარგე! ძარს! რო-  
გორ შეიძლება ასეთი საზიზღრობა“.

ჩხეიძე. თავებს სიტყვას და ამბობს,  
რომ სანამ მთავრობა არ შეხედება ხალ-  
ხის ნამდვილ წარმომადგენლებს, მანამდე  
ისეთ დაცინვებს როგორიც იუსტიციის  
მინისტრ შეგლოვინტოვისაგან გვევსის,  
ხშირი იქნება ჩვენ დუმაში (მარცხნით  
ტაშის ცემა.) დასასრულ ლაპარაკობენ  
ზამისლოვსკი, ბარონი ჩერკასოვი და  
სხვანი. სხდომა იხურება, შემდეგი სხდო-  
მა დანიშნულია 4 დეკემბერს.

## დეკემბერი

(პეტერბურგის დებუთათა სააგენტოსაგან)

3 დეკემბერი.

### ოსმალეთი

სტამბოლი. კაბინეტის წევრებთან  
უთანხმოების გამო სამსახურიდან გავიდა  
სახალხო განათლების მინისტრი ნაილი.  
მის ადგილს დაიკავა ახალგაზრდა ოსმალ-  
თა კომიტეტის წევრი მოუფლი.

სტამბოლი. დებუტატთა პალატა მხუ-  
რავლევ აზლოდისმეტებით შეხედა სპარ-  
სეთის მეკლენის მისალოც დებუშის კო-  
თხვას. დადგინდა იქნა მიერდოს პრე-  
ზიდენტს საპასუხო დებუშის შედგენა.  
უარყოფილ იქნა ზოგიერთ დებუტატის  
წინადადება, რომ მახმუდ-შეფეთს მისი  
მოღვაწეობისათვის ნაციონალური ჯილ-  
და დაწინაშდოდა.

### სპარსეთი.

თეირანი. ყაზახთა ბრიგადის ახალი  
უფროსი თავადი ვაღშოლსკი რუსეთის  
ელჩმა წარუდგინა შახს რევენტის, სამ-  
ხედრო და გარეშე საქმეთა მინისტრე-  
ბის თანადასწრებით.

### არსეთი.

ეკატერინოსლავი. შეიარაღებულმა  
ყაზალებმა ტელეგრაფის მათეულები დაქ-  
რეს და შერბინოვსკის მალარობის კან-  
ტარა გაძარცვეს. წაიღეს 8,000 მა-  
ნეთი.

პოლტავა. პოლტავის მაზლობლათ  
ბრაუნინგის ტყვიით ყაზალებმა მოჰკლეს  
ორი ეკპარი. ბოროტ-მოქმედნი მიი-  
მალნენ.

ნოვოჩერკასკი. რევოლუციით შეიარა-  
ღებული 8 ყაზალი აგრარავის მალარო-  
ების კანტარაში შევირდა. გასტეტეს  
დახლი და 700 მანეთი გაიტაცეს.



**პეტროპოლისი.** პეტროპოლისის გუბერნიის 6 დეკემბრიდან განსაკუთრებული წესის მაგიერ 1910 წ. 4 დეკემბრამდე მოქმედებულ იქნება გაძლიერებული დაწესებულებები.

**საზღვარეულო.** საზღვარეულო საბჭოს წევრი აირჩიეს მემამულე ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ერემოვი.

**პეტროპოლისი.** სენატმა უწყურადღებოთ სიტუაციის ამხანაგობის საქმის საჩივარი. მოსკოვის სამოსახლო-ბო პალატამ ამხანაგობას უარი უყო 10,000 მანეთის მიღებაზე, რომელიც მსოფლიო საზოგადოებრივი ერგებობის სახელით საბჭომ სასურველად სცნო. განიხილებოდა წესით დამტკიცებულ წესის კანონპროექტი საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სუბსიდიის 10,000—დან 200,000 მანეთამდე გაღების შესახებ.

**შორაული აღმოსავლეთი.** პეტროპოლისის მთავრობამ უარყო წინადადება, რომ პორტუგალიისთან საზღვრების გადარღვევა სამედიკალინო სასამართლოს გადასცემოდა.

**საზღვარეულო.** ნიკაგუაში ხალხი ძალიან აღელვებულია. ყველა პრეზიდენტს სცემს ბრალს. ხალხი აშკარად მოითხოვს შეერთებული შტატების ჩაქვეშ ჩარევას.

**ბრიტანეთი.** სენატმა გაათავა სამხედრო კანონპროექტის განხილვა. კანონპროექტი მიღებულ იქნა 71 ხმით, 22-ის წინააღმდეგ. ამრიგად, სამხედრო რეფორმის მოხდენა უკვე გადაწყვეტილია.

**დუბლინი.** ირლანდიის ნაციონალური კავშირმა გადაწყვიტა არჩევნებზე მხარი დაუჭიროს ლიბერალებს.

# სათმეობა

(გულმდინარე ამბავები.)

როცა დამე ბნელ-ბურუსით ჩამოეშვა მიწაზე და; როცა გულზედ შემოემკდო განუყრელი ტანჯვა-სევდა;— მაშინ მოეწედი მიწის გულ-მკერდს, სინამდვილეს გავეყარე; ტალღას გავეყეო ოცნებისას, ფიქრითა ზღაზედ დავემყარე;— ცის კიდურზედ ანგელოზნი, მშვიდნი სულნი მიმოჰყვნენ; შლიდნენ ურცხვ თაიგულებს, ფარდ-ყვავილით მიწას ჰყენდნენ... ზე ჰაერი მთლათ დაეყარო ყვავილთ რხევას, ვარდის ფრენას... ვარსკვლავები ტახტს უდგამდნენ ნეტარება-აღმადგინებას.— ანგელოზთა შორის გნახე, შენც აკმევდი ყვავილს, ვარდს; მიწით შენსკენ იზიდავდი მომდის კენესას, მომდის დარდსა.

ბაბაიანა.

# ახალი ამბავი

**იარაღის საწყობის აღმოჩენა.** 2 დეკემბერს პოლიციამ ვიატკის გუბერნიის, ახალუსის ნ. ა. ბარიშნიკოვის ბინა გახსნა, კამბეგრების ქუჩაზე. აქ 8, სადაც იმყოფებოდა თევზები, რევოლვერები და ხმლები. ჩხრეკის დროს ბარიშნიკოვის ბინაზე ნახეს ერევნის გუბ. ახალუსი ი. მაკაშვი, რომელსაც თან „ბრძანების“ რევოლვერი აღმოაჩნდა. ბარიშნიკოვი და მაკაშვი შეიპყრეს. ნაპოვნი იარაღები პოლიციაში გაგზავნეს.

**ახალი შურის „სხივა“.** 13 დეკემბრიდან თფილისში გამოსვლას იწყებს ყოველ-კვირეული ქართული ბელეტრისტიკული ჟურნალი „სხივა“ ივ. გომართლის, ლილიონისა და სხვა ახალ-გაზრდა მწერართა მონაწილეობით. პირველი ნომერიდან დაიწყება ბეჭდვა ივ. გომართლის კრიტიკული წერილებისა „ქართული ლიტერატურაზე“ გარდა ამისა, ჟურნალში დაიბეჭდება ბიბლიოგრაფია შესანიშნავი რუს და უცხოელ მწერართა ნაწარმოების, ბიოგრაფიები შესანიშნავი მწერართა და სხვა.

**წ. კ. გამ. საზოგადოების გამგეობის** უკანასკნელი სხდომა უმთავრესათ სსოგადო წლიურ კრების საკითხების გარჩევას მოაწოდებს. ახალი პრაქტიკული საკითხი არაფერია გაურჩევია. სსოგადო კრება 6 დეკემბერს მოხდება.

**„ნავთის-ჭაღის“ მიღება.** „ნავთის-ჭაღის“ მიღების ნავთიან ადგილების იჯარით გასაცემით ახლო მომავალში ვაჭრობა მოხდება.

**თფილისის საბჭოს სამოსწავლო კომისიის** სხდომა, რომელიც 2 დეკემბერს უნდა შემდგარიყო, წევრთა კანონიერი რიცხვის დაუსწრებლობის გამო შედგენისათვის გადაიდო.

**შეპყრობა.** 2 ნოემბერს პოლიციაში შეიპყრო თფილისის მხარის მცხოვრები თ. ი. გონიშვილი, რომელსაც თან სხვის სახელობაზე პასპორტი აღმოაჩნდა. გონიშვილი გამოკცდა, რომ ის 1905

წ. სალათად გაიწვიეს, 1907 წ. ერთი სარსკლის გაძარცვისათვის აღექვანდ-როპოლის ციხეში ჩასვეს, საიდანაც ის 16 ტუსათან ერთად გაიქცა. შეპყრობილი გონიშვილის ბევრ ტერორისტულ აქტებში მონაწილეობის მიღებას აბრა-ლებენ. აბრალებენ აგრეთვე 2 ნოემბერს ვანქის შესახვევში მოკლულ 2 უცხოელის ამხანაგობას.

**სამხრეთის სკოლიდან სხვადასხვა საბუთების მოპარვა.** 2 დეკემბერს, დამით, სუბ-სარქისის სამხრეთის სკოლი-დან, სუბ-სარქისის ქუჩაზე, მოპარეს მოსწავლეების დაბადება-მონათვლის 20 მწიშობა და ბევრი სხვა სასკოლო საბუ-თები. ქურდების მიერ ქუჩაზე დატოვნილი რამდენიმე მოწიშობა, პოლიციელმა იპოვა.

**სახანო თეატრი.** ამ დღეებში სახანო თეატრის საოპერა დის ბა-თუმში გაემგზავრება, სადაც ის 10, 11 და 12 დეკემბერს საოპერო წარმოდგე-ნებს გამართავს.

**სამართალში მიცემა.** თფილისის საგუბერნიო სამმართველოს დადგენილე-ბით სამართალში მიცემული საპოლიციო უბნის ყოფილი ზედამხედველი პეტროვი, რომელსაც პოლიციის ფულის, 21 მანეთის გაფლანგვა ბრალდება. პეტროვსავე ეს ფულები მაშინ წარადგინა, როცა მისი ბრალდ-მოქმედება აღმოაჩინეს.

**რუსების ჩამოსახლება.** სახელმწი-ფო საადგილ-მამულო ბანკის თფილისის განყოფილებას ბევრი ადგილები აქვს დარჩენილი, რომელსაც ეხლა ასაღებენ. 2 დეკემბერს თფილისში ოც „ხოდოკი“ მოვიდა განჯის გუბერნიიდან, სადაც მათ დაუთვალეობით აღნიშნული, საადგილ-მამულო ბანკის მამულები. „ხოდოკებს“ ეს ადგილები (რამდენიმე ათასი დესია-ტინა) არ მოსწონებოდათ, რადგან უწყ-ლოაო. ეხლა თფილისის გუბერნიაში აპირებენ ადგილის მოძებნას („დრ.“)

**გამომცემელი ამხანაგობა.** ქუ-თაისში დაუარსებიათ გამომცემელი ამ-ამხანაგობა „დასავლეთი საქართველო“ ამ ამხანაგობის განყოფილებები გაიხსნება ფოთში, ბათუმში, ზუგდიდში, ოზურ-გეთში და სხვ.

**პოლიტექნიკური თფილისში.** ამ დღეებში თფილისში მოხდება პოლტე-ნიკუმის დამაარსებელ მთავარ კომიტეტის სხდომა, რომელიც გამოიკვლევს უმაღ-ლეს სასწავლებლის ტიპს და ამ სასწა-ვლებლის დასაარსებლათ ხარჯთ-აღრიცხვა-საც განიხილავს.

**ვაჟა-ფშაველას** ლიტერატურული ასპარეზზე ოც-და-ათი წლის მოღვაწე-ობის გამო ქართული სამხატვრო ლი-ტერატურის საზოგადოებამ გადასწ-ყვიტა პოეტ ვაჟა-ფშაველას პატივის-სა-ცემათ დღესასწაული გამართოს და ის საზოგადოების საპატიო წევრათაც აირ-ჩიოს.

**ქუთაისის საბაღოსნო სკოლას-თან** სასოფლო მეურნეობის სხვადასხვა დარგის განყოფილებათა დასაარსებლათ და მოსაწყობათ სკოლის სამხრეთ-გვერდში შუამდგომლობა აღძრა 7000 მ. დასახ-რებლათ. ამის შესახებ კავკასიის მიწათ-მოქმედების მთავარ რწმუნებულმა გრცე-ლი მოხსენება მიიღო განსახილველათ.

**სახანო უნივერსიტეტის** გამგეო-გეობამ დადგინა საზოგადო მატერია-ლურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ მოაწყოს ლექცია. ლექციის წაითხვა მიენდა ექ. სომბოლესკი, რომელიც წაი-კითხვის „ცენტრალურ აფრიკაში მოგ-ზაურობაზე“. ლექციაზე არჩენებენ ბუნ-ღოვან სურათებს.

**ყოველ-წლიური დახმარება.** ქალაქ თფილისის გამგეობამ გადასწყვიტა, ყო-ველ წლიურათ 5,000 მ. შემწეობა ად-ლიოს თფილისის „ქალთა უმაღლესი კურ-სებს“.

**ნორას გასამართლება.** ამ დღეებში „არტიკული საზ.“-ს შენობაში მოხდა იხენის ერთ ცნობილ პიესის გმირის „ნორას“ გასამართლება. თავმჯდომა-რეობდა ა. ი. ჩიმიშვიანი. დამცველათ გამოვიდა ა. ხატისოვი, ბრალმდებლათ გ. გვახაძე. ნორა გაამართლეს. ამ ამბავს ხალხი მთლათ დაესწრო.

**ტეატრში.** როგორც გაზ. „ნ. რ.“-ს გაუგია, საზ. „ნახშირას“ მუშებს გაუცემა მოუხდენიათ, რადგან მუშები თავ თავის დროზე ჯამაგირებს ვერ ღე-ბულობდნენ. გაფიცვა შეწყდა, რადგან მუშებს დაუყოვნებლივ ქირის მიცემა აღუთქვეს.

**ქალაქის საბჭოს** 14 დეკემბრის სხდომაზე მოხდება ქალაქის გამგეობის ერთი წევრის არჩევა ნ. პ. კიკაძის ადგილას, რომელსაც სამსახურის ვალა უთავდება.

**რედაქტორის საქმე.** შაბათს, 5 დეკემბერს მომრიგებელ სასამართლოს მე-2 განყოფილებაში დანიშნული გასა-რჩევით გაზეთ „ზაქ.“ რედაქტორის ამი-რაჯიბის საქმე. ამირაჯიბის ასოთ-ამწყო-ბები უზივან 400 მან. რაც მათ ნახე-ვარი თვის ჯამაგირში ერგებათ.

**ქალ. თფილისის გამგეობამ** პი-რობები დაუგზავნა საზღვარ-გარეთ სხვა-დასხვა ფირმებს თფილისში გაზეთი სანა-თი ქარხნის აგების შესახებ.

# საჭირო დახმარება

ერობა!.. ეს ჯადოსნური სიტყვა ყველას პირზე აეკრია დღეს კავკასიაში. თითქმის ყველა მისგან გამოუღის ხსნას. და მართლაც, განა შეიძლება აღწესდეს ყველა ის სარგებლობა, რის მოტანაც შეუძლია კავკასიისთვის დემოკრატიულ საფუძველ-ზე დამყარებულ ერობას? ბევრის, ძალიან ბევრის.

მაგრამ თავისთავათ ერობას არაფრის გაკეთება არ შეუძლია თუ მას დამხმარე არ ჰყავს. მისი დამხმარე ერთ-ერთი დაწესე-ბულება არის.

— სკოლა!

სოფლის სკოლა.

ჩვენ ვამბობთ მომავალ სკოლაზე, რო-მელიც უნდა შევქმნათ.

მაგრამ, ჯერ სანამ ამ სკოლის შევქმნი-დეთ საჭიროა, გავიგოთ ეხლანდელი სკოლების მოუწყობლობა, მისი ნაკლუ-ლუფანებები, მისი იარაღები.

მაგრამ, როგორ და რა გზით? ჩვენ ამ ცნობების შესაქმნელათ არავითარი ლიტერატურა არა გვაქვს. ამიტომ მე განვიზრახე მოვხდინო ანექტა ხალხის განათლების მოღვაწეთა შორის. ყველა-ზე მეტათ მოვთხოვთ მოგვარდნო ცნო-ბები სოფლის მასწავლებლებმა. ჩვენ ვსთხოვთ ყველას პასუხი მოგვცენ ქვე-მოთ ჩამოთვლილ კითხვებზე. ყველაზე მეტათ საჭიროა ნამდვილი ცნობები ამ შეგროვებულ ცნობებდან ჩვენ შევქმნათ მთელი სურათი კავკასიაში სწავლა-განა-თლების საქმის შესახებ. ყოველივე ცნო-ბებს მადლობით მივიღებთ.

**კითხვები:**

**I მცხოვრებთა მოკლე დახასიათება.**

1) მცხოვრებთა რიცხვი სოფელში, დაბაში და სხვა.

2) განვითარების საფეხური (დაახლო-ვებით წერა-კითხვის მკოდნეთა რაოდე-ნობა. დამოკიდებულება სკოლასთან.)

3) არის თუ არა მისწრაფება სკოლის გარეთ განათლების და კეთდება თუ არა რაიმე ამ მხრივ (წიგნთ-საცავ-სამკითხვე-ლო, წიგნის მაღაზიები, საკვირაო სკო-ლები, სახანო კითხვები და სხვ. სა-სურველი ციფრებით აღინიშნოს: წიგ-ნების რაოდენობა, საათების რიცხვი და სხვა.)

4) როგორ უყურებენ მცხოვრებნი ქალთა განათლებას. დაახლოვებით წერა-კითხვის მკოდნე ქალთა რიცხვი. საზო-გადოათ, რა მდგომარეობაშია ქალი.

5) რამდენათ გავრცელებულია ხალხ-ში დანაშაულობა (დანაშაულობის რაო-დენობა და ხასიათი განსაზღვრულ დროში)

6) მცხოვრებთა ეკონომიური მდგო-მარეობა (როგორ პირობებში სწარმოებს სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა და სხვ.)

7) არსებობს თუ არა რაიმე საზოგა-დო ორგანიზაცია, როგორც მაგალი-თად, კოოპერაციები, სასოფლო-სამეურ-ნეო დაწესებულებები და სხვა.

**II. სახანო სკოლა.**

1) სკოლის ტიპი და მისი შესანახი საშუალება (აღნიშნოს ციფრებით). რო-დის გაიხსნა.

2) სკოლის შენობა. (რამდენი ოთა-ხია და არის თუ არა ჰიგიენური.)

3) რამდენათ კარგათ მოწყობილია სასწავლო ნივთებით სკოლა. (სასწავლო წიგნები, ქარტები და სხვ.)

4) მოსწავლეთა წიგნთ-საცავი (დაა-ხლოვებით წიგნების სია. რამდენათ სარ-გებლობენ მით მოსწავლეები: რამდენი წიგნები გაუციათ განსაზღვრულ დრო-ში—თვე, წელიწადი.)

5) მასწავლებლთა და მოსწავლეთა რიცხვი სკოლაში. რამდენ ბავშვს უთ-ხრეს უარი გასულ წელს ადგილის უქონ-ლობის გამო.

6) რამდენი კლასია, ან განყოფილება და რამდენი მოსწავლე მოდის თი-თოეულ მასწავლებელზე.

7) რამდენათ ერთგვარია კლასები

ბავშვების ხნოვნობის და განვითარების მიხედვით.

8) როგორ დადიან სკოლაში. მოუსვ-ლელობის სხვა და სხვა მიზეზები. წე-ლიწადში რამდენი სასწავლო დღეა.

9) სამოსწავლო პროგრამა. რამდენათ აკმაყოფილებს ის მოსწავლეებს, მცხოვ-რებთ და თვით მასწავლებელს. ხომ არ გადადის უკანასკნელი განსაზღვრულ ფარგლებს. სასურველი ცვლილებები.

10) საშუალო ენა და ისტორია.

11) რა სწავლა-ცოდნით ათავებენ მოსწავლეები სკოლას. იყო თუ არა მა-გალითი, რომ სკოლის გათავების შემ-დეგ მოსწავლეს დავიწყებია წერა-კითხვა (რეციდივი).

12) ბევრნი აგრძელებენ სწავლას? (სა-ჭიროა უკანასკნელი რამდენიმე წლე-ბის ცნობები).

13) ნაკლები ნიჭის პატრონი, საშვა-ლი და ნიჭიერ მოსწავლეთა რიცხვი.

14 არაინ თუ არა ნიჭიერი და რა ბე-დი ეწიათ მათ სწავლის გათავების შემდეგ.

15) სამოსწავლო მთავრობის და-მოკიდებულება სკოლასთან, მზრუნვე-ლების, სოფლის ადმინისტრაციის, მემამუ-ლეების და სხვა. ჰყავს თუ არა სკოლას მდიდარი მფარველები.

**III. სახანო მასწავლებელი.**

1) რამდენი წელიწადია მასწავლებე-ლათ, სად უსწავლობა. მისი მიზანი მას-წავლებლობა იყო? რამდენათ არის განვი-თარებული. საკმაოთ სცნობს თუ არა.

2) ეწევა თუ არა თვით-განვითარებას. რას კითხულობს ან წაიკითხა მეცნიერე-ბის დარგიდან, გაზეთები, ჟურნალები.

3) როგორ უყურებს თავის საციო-ლურ ცოდნას. კარგათ იცის პედაგოგი-კის, დიდაქტიკის და მეთოდის ისტო-რია. რას კითხულობს ან წაიკითხა ამ კითხვებზე.

4) სამოსწავლებლო წიგნთ-საცავი სკოლაში. (უმთავრესი ავტორები, რაო-დენობა) რამდენათ აკმაყოფილებს ის მასწავლებელთ.

5) მასწავლებლის ჯამაგირი (ვინ აძ-ლევს და რამდენათ წესიერათ), ბინა.

6) ყოფნის თუ არა ჯამაგირი პირველ მოთხოვნილებათა დასაყვამილებლათ. (საჭიროა დაწვრილებითი ხარჯთ-აღ-ნუსხეა.)

7) რა მონაწილეობას იღებს მასწა-ვლებელი საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

8) აქვს თუ არა დამოკიდებულება ამხანაგებთან და რაში გამოიხატება ეს დამოკიდებულება.

9) მცხოვრებთა, სამოსწავლო მთავ-რობის და სოფლის ადმინისტრაციის და-მოკიდებულება მასწავლებელთან.

10) საზოგადო შეხედულება ცხოვრე-ბაზე და მოღვაწეობაზე.

ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი კითხვები სრული იყოს, ამიტომ მდილობას ვმტკიცებთ იმ კორეს-პონდენტს, რომლებიც შეავსებენ ამ ცნობებს.

ვიმედოვნებთ, რომ დროზე მოგვაწე-დიან საჭირო ცნობებს. საჭიროა ცნო-ბები რუსულათ იყოს დაწერილი, შეიძ-ლება ქართულადც.)

**სერგეი ზვონოვა.**

# უკანასკნელი ფოსტა

**ოსმალეთი.**

**მდგომარეობა საბერძნეთში.** პალა-ტაში შეტანილი გადასახადების პირობე-ტები საზოგადო უმეყოფილებას იწვევს. დიდი ქალაქების ქალაქის თავები უკმა-ყოფილონი არიან შაქრის მონოპოლიი-სა, რადგან ეს საზარალო იქნება ქალა-ქების შემოსავლისათვის. ვაჭრების ორ-განიზაციები პროტესტს აცხადებენ მან-ქანებზე გადასახადების დაწესებისათვის. მაგარი სასმელების დამზადებელი მექარხ-ნები წინააღმდეგნი არიან სპირტზე გა-დასახადის დადებისა, რაშიაც მათ მხარს უჭერს სამხედრო კავშირი. ამის გამო მოსალოდნელია, რომ მთავრობა უკა-ნასკნელი კითხვის დროს ბევრ შესწო-რებს შეიტანს პროექტში. სამდგომო-ებაში მოძრაობა ძლიერდება. პოლოს ფეისკოპოსი გერმანოვი, ლარინის ეფის-კოპოსი ამბროსის მიხედვით, წირვის დროს მეფის ლოცვას არ კითხულობს და არც მის სახელს იხსენიებს.

**რუმეთი.**

**მუშები მინისტრთან.** 26 ნოემბერს

\* ცნობების გამოგზავნა შეიძლება ჩვენი რე-დაქციის სახელზე.

ქვემო-ჩალიდისკის ქარხნის მუშებმა, დე-მის დეპუტატ ნ. მ. ეგოროვთან ერთად, ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი ინახუ-ლეს. მუშებმა აუხსნეს, ტრამპეს, რომ მიუხედავათ ცხოვრების პირობების—გა-ძიარებისა, ქარხნის ადმინისტრაციის ხელ-ფასი 25—50 პროცენტით შეგვიძირა და იმასაც თავის დროზე არ იძლევა. მინისტრი მუშებს დაპირდა ქარხნის ად-მინისტრაციასთან შუამდგომლობას მხო-ლოდ იმ პირობით, თუ ახლანდელი ხელფასი 1905 წლის ხელფასზე ნაკლები აღმოჩნდება, როგორც ეს მუშებმა აღნიშნეს.

**ქალი პროფესორი.** კიევის კომერცი-ულმა ინსტიტუტმა პოლიტიკური ეკო-ნომიიდან ლექციების საკითხავათ მოიწ-ვია ბრიუსელის უნივერსიტეტიდან სო-ციალური მეცნიერების ექიმი კოტელ-სკიას ქალი.

**თვითმკვლელობა სასამართლოში.**

27 ნოემბერს იაროსლავლის სასამართ-ლოში ირჩეოდა ყოფილი ბოქაულის დომბროვსკის და მისი თანაშემწის სახ-ნოვსკის საქმე. სასამართლო ნაწილთ იყო გაქედნილი. სასამართლომ ორივე ბრალ-დებული დამნაშავეთ იცნო და ღირსების ჩამორთმევა და სამი თვის ციხე მიუსაჯა. განაჩენის კითხვის დროს რევოლვერის გრიალი მოისმა და დომბროვსკი გასის-ხლიანებული ძირს დაეცა. გავიარკვა, რომ მას თვითმკვლელობის განზრახვით რევოლვერი დაუხლია გულში. სასამარ-ლოს სხდომა შესწყდა.

**საეროზო ხმოსნების არ დამტკიცება.**

უფის დეპუტატებმა ცნობა მიიღეს, რომ გუბერნატორმა არ დამტკიცა უფის, ბელევესკეს და ზოტატოვსკი-ვსკის სამაზრო საეროზო თვითმართველო-ბის წევრები და თავმჯდომარეები. ყველა არჩეულები პოლიტიკურათ ზომიერე-ბით. დეპუტატების სიტყვით, მათი დაუშე-ტკიცებლობის მიზეზი ის არის, რომ მთავრობა აპირებს საეროზო ხმოსნების არჩევის მაგიერ ზევდიან დანიშნვა შე-მოიღოს.

**არჩევნები მოსკოვის მაზრაში.** საე-როზო თვითმართველობის არჩევნები არც მოსკოვის მაზრაში დამტკიცა მთავრო-ბამ. ხმოსნები ამტკიცებენ, რომ მთავ-რობას არავითარი კანონიერი საბუთი არა აქვს არჩევნები არ დამტკიცოსა.

**საზღვარეულო-ბი.**

**ახალი კაბინეტის შედგენა.** იტალია-ში ახალი კაბინეტის შედგენა გადაწყენ-ბული ჯიოლიტის კაბინეტის მაგიერ მიენდო სონინოს. უკანასკნელს სურს შეადგინოს კონსერვატიულ-ლიბერალუ-რი კაბინეთი, რომელიც დამყარებული იქნება ზომიერ-ლიბერალურ ელემენტებ-ზე. ახალ კაბინეტში ადგილი არ ექნებათ მემარცხენებს. შემარცხენი ც. სონინოს კაბინეტს მტრულათ უყურებენ.

**კლერკალები და მთავრობა.** უნგრე-თის კათოლიკეთა სამღვდლოება უკა-ნასკნელ ხანებში ყოველ დონისძიებს ხმარობს კათოლიკური პრესის დასაარსე-ბლათ. გავლენიანი მღვდლები მოაწმუ-ნეთა შორის ფულებს აგროვებენ კლე-რიკალური პრესისათვის და ხალხს ხელ-წეროლს ართმევენ ბოიკოტი გამოუცხა-დოს მემარცხენეთა და ლიბერალურ პრესას. უნგრეთის მთავრობა ძალიან თანგრძნობით ეგებება სამღვდლოების მოქმედებას. მთავრობას კლერკალების დახმარებით სურს წინააღუდგეს საყო-ველთაო საარჩევნო უფლების შემოღებას უნგრეთში.

**რედაქტორის დასჯა.** გამაში სასა-მართლომ ცნობილ სატირიულ ჟურნა-ლის „სინპოლისიზმის“ რედაქტორს 6 თვის ციხე მიუსაჯა. რედაქტორი პა-სუხის გებაში იყო მიცემული რატობ-ის მაღაროების ადმინისტრაციის შეუ-რაცუფისათვის. დასახელებულ მაღა-როებში შარშან დიდი კატასტროფა მო-ხდა, რომლის მსხვერპლი გახდა რამე-ნიმე მუშა. რედაქტორს იუმორისტულ ჟურნალში დახატული ჰყავს ორი მუშა. ერთი ეუბნება მეორეს: „ჩვენმა ადმინი-სტრაციამ დღეს კიდევ გაავლო ქუჩა-ში ერთი ქალი 8 ბავშვით“. ამაზე მეორე უპასუხებს: „ნუ ჯავრობ, სამაგიეროთ ადმინისტრაციამ ჩვენ უფსოა ბინა მოგე-ცა“ (იგულისხმება ჩანგრეული მაღა-როები).

**კუკი ავანტიურისტი.** ნიუ-იორკიდან „გრეს“ დეპუტათ ატყ



